

მხატვრული შედარება თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში

ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მხატვრული შედარება თედო რაზიკაშვილის პროზის ენაში, როგორც სტილის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი, გარესამყაროს შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც, ბუნებრივია, განაპირობებს ტექსტის ესთეტიკურ და ემოციურ ფუნქციას.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობები, მსგავსებითი შედარების გადმოცემის თალსაზრისით, ხასიათდება მრავალფეროვნებით. მწერალთან უმეტესწილად ერთმანეთს შედარებულია სულიერსი და უსულო, ადამიანი და ცხოველი...

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მსგავსებითი შედარება იქმნება გრამატიკული კავშირებით: **როგორც, თითქოს** და თანდებულებითა და ცალკეული სიტყვებით: **-ვით, -ებრ, -თანა, -ტოლა, ქცეული** და სხვა. ზოგჯერ შედარებაში არ გამოიყენება კავშირი და თანდებული, რაც ძალზედ ემოციურ ელფერს სძენს მას.

მსგავსებითი შედარება ექსპრესიულად ძალზე საინტერესოა, მკითხველი ნათლად, მკაფიოდ, ცოცხლად შეგრძნობს მწერლის მიერ დახატულს სცენას.

ვფიქრობთ, რომ მსგავსებითი შედარება განსაზღვრავს თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის სტილს, რომელიც აძლიერებს სათქმელის შინაარსსა და ტვირთვას მას ემოციურად.

ამრიგად, თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის დამახასიათებელი სტილური ნიშანია მსგავსებითი შედარება, რაც მხატვრულ ტექსტს ხდის განუმეორებელს, ინდივიდუალურს, აზროვნებას კი - ემოციურს.

ნათლად იკვეთება, რომ მსგავსებითი შედარების მეშვეობით თედო რაზიკაშვილი ოსტატურად იყენებს ენის მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რითაც ქმნის ინდივიდუალურ, მკვეთრად გამორჩეულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილს.

საკვანძო სიტყვები: სტილი, შედარება, მსგავსება, კონსტრასტული, თვისობრივი.

თედო რაზიკაშვილის მხატვრული ნააზრევი ამშვენებს ქართულ მწერლობას. მრავალფეროვანი და განსაკუთრებულია მისი თხზულებთა ენა, დატვირთული უხვი მხატვრული ხერხებით, ტროპული მეტყველების თავისებურებით, რომელიც ბუნებრივია, განაპირობებს ტექსტის ესთეტიკურ - ემოციურ ფუნქციას. ამასთანავე, განსაზღვრავს მის ადგილსა და სემანტიკურ დატვირთვას ქართულ მწერლობაში.

ძალზედ განსხვავებულია თედო რაზიკაშვილის პროზის სტილი. აქ მჟღავნდება

შემოქმედის მხატვრული თავისებურება, სამყაროს აღქმა, მისი მსოფლხედვა. სტილის განმასაზღვრელია მწერლის თანადროული ეპოქა, ლიტერატურული გავლენა, თავად პიროვნება და სხვა მრავალი ფაქტორი.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მხატვრულ შედარებას, როგორც მსავსების ნიშანას, მნიშველოვანი ადგილი უკავია. მხატვრული შედარება გარესამყაროს შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

„შედარება უნივერსალური მოვლენაა, გნოსეოლოგიური თვალსაზრისით იგი საფუძველთა საფუძველია ყოველგვარი შემეცნებისა: ნებისმიერი ცნება თავისთავად წარმოადგენს რაღაც შედარების შედეგს“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6). „შედარება-შეპირისპირების შედეგია ობიექტთა ნიშნებს შორის ეკვივალენტის, მსგავსების, განსხვავების, იგივეობის კონსტატაცია, რაც საბოლოო ჯამში ცნებად გამოიკვეთება ხოლმე“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6).

შედარება, როგორც მეტყველების შესაძლებლობა ალ. გვენცაძის აზრით „უმრავლეს შემთხვევაში დასრულებულ აზრს წარმოადგენს. ზოგჯერ შენიშნავენ, რომ შედარებაში ერთი მხარე ნაცნობია, ხოლო მეორე ახალია, უცნობია და ნაცნობთან უცნობის შეპირისპირება გვეხმარება მის გაცნობიერებაში. მისი აზრით შედარება რთული ერთეულია. „შედარებას შეუძლია შეასრულოს არა მარტო აღწერით-გამომხატველობითი, არამედ ემოციურ-გამომხატვეობითი ფუნქციაც. შედარებაში მუდავდება მთქმელის ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ადამიანთა მისწრაფებებისა და შეგნებულობის თვალსაწიერი. ალ.გვენცაძეს შესადარებელი მხარე დაახლოებით ასე აქვს დაჯგუფებული:

ა) შესადარებლად გამოყენებულია ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები, ე.ი ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფია;

ბ) შესადარებლად გამოყენებულია ბუნების საგნები და მოვლენები; მაგალითად მნათობები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო და სხვა“.

ცნობილია, რომ შედარებაში ორი ძირითადი მომენტი იპყრობს ყურადღებას. ერთია „ა) შედარება კონსტრასტული კომპოზიციის ხერხით, ამ შემთხვევაში ნაწამოების სიყეტური გაშლა და გმირთა სახეების ჩვენება კონტრასტების საშუალებით, რაც მაღალმხატვრულ ეფექტს აღწევს, აძლიერებს დამაჯერებლობასა და თვალსაჩინოებას. და მეორეა ბ) შედარება თვისობრივი და გარეგნული ნიშნების მსგავსების მიხედვით, როცა მწერალი ძირითადი ნიშნების მიხედვით გამოხატავს მსგავსებასა და სხვაობას, ქმნის მხატვრულ სახეს, რაც ნაწარმოებს მიმზიდველობასა და პოეტურ ელფერს სძენს“.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მსგავსებითი შედარება იქმნება გრამატიკული კავშირებით: როგორც, თითქოს და თანდებულებითა და ცალკეული სიტყვებით: -ვით, -ებრ, -თანა, -ტოლა, ქცეული და სხვა. ზოგჯერ შედარებაში გამოყენებული არ არის კავშირი და თანდებული, რაც ძალზედ ემოციურ ელფერს სძენს მას.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობები მსგავსებითი შედარების გადმოცემის თალსაზრისით ხასიათდება მრავალფეროვნებით. მწერალთან უმეტესწილად ერთმანეთს შედარებულია სულიერსი და უსულო, ადამიანი და ცხოველი...

ასევე გამოყენებია უკავშირო კონსტრუქციით მიღებული შედარება, რომელიც

განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა და მეტად ექსპერსიულია. მწერალთან გადმოცემულია შედარება შემდეგნაირად:

სულიერი საგანი შედარებულია სულიერთან:

შიშია მგელივით ჯიხვების კვალს გაყვა.

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან:

მარიამი, აბა, თავს როგორ დაანებებდა თავის “მარიამასა”, კუდივით სულ უკან დასდევდა.

უსულო საგანი შდარებულია უსულოსთან:

მსხალს ფითრი ქორის ბუდეებივით ასხმია და მწვანედ ხასხასი გააქვს;

მსხლის ხეს დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა.

უსულო საგანი შედარებულია სულიერთან:

ფითრი ფოცხვერივით აჯდა კისერზე და სწუწნიდა რაც შეეძლო;

ქუჩი ზღარბივით ეყუნტა კლდის ნახეთქებში.

„მსგავსების ცნება თავისთავად გულისხმობს შედარების მომენტს“ (კვაჭანტირაძე, 1978). მსგავსებითი შედარების გამოხატვა თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში ეკისრებათ შემდეგ საშუალებებს, კერძოდ: ვით თანდებულს:

ვით:

ფიდონას ხუთი ექვსი ბალდი სიამოვნებით შეცქეროდნენ ქარვასავით ყვითელ დაშაქრებულ მსხლებს, ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამოთ, ან ახლაო;

აქ რომ ღაღლა დაიძალა, მითხარი სად არის, ჭილო შე ეშმაკის კერძო, **თასმასავით** რომ იგრიხები, მიჩვენე იმის ბინა;

ისეთს არავის შევხვედრივარ გზებზე, რომ კანკალს არ აეტანოს და სიცივით **ჭიყელასავით** არ მოზღუნძულიყოს;

იმას არავისი ეშინია **კაცებივით;**

თოვლის ცქერით თვალები სტკიოდა და **ცისარტყელასავით** წითელ-ყვითელი ელანდებოდა;

წვრილი და შავი სიფრიფანა ბრჭყვიალა სიპების ნამტვრევებისაგან შემდგარი ქვიშა ფეხქვეშ არა დგებოდა, **ელდასავით** აქეთ-იქით ძვრებოდა;

შიშიაც სწორედ ასეთი იყო! ისე ოდნავ ადგამდა ფეხს, რომ ქვიშა მხოლოდ მაშინ დაიძვროდა, როცა იმას ფეხი კიდევ ჰქონდა გადადგმული და თოფის **წამალივით** იწყობდა ქვემოთკენ ზვავით დენას წკრიალით;

ყველანი ერთად მზეზე **გიშერივით** საამურად ბრჭყვინავდა;

ერთი ვიწრო ხევი კიდევ ჰქონდა გასასვლელი და მერე „არწივისმალის“ ჩონჩხი იყო აყაყული უზარმაზარი **მატურივით;**

სხვა ჯიხვები ზოგი იწვა, ზოგი იქექებოდა, ზოგიც ქვებში ამომძვრალს **გერმასავით** რბილ ბალახს სწიწნიდა;

ტირილი მოსდიოდა, რომ **შამფურივით** გაშავებული რუსული „ბერდენკა“ არა ჰქონდა;

გაჰყვა შიშია **მგელივით** სისხლის კვალს;

ძირს ხეობა და შორს სოფლები თანდათან მერცხლის **ბუდეებივით** მოჩანდა;

გუთნეული დაინახა, თვალებს **გიჟივით** ცეცება დაუწყო;

განა კაცი დაიმაგრებდა იმ ურემს?თავის დღეშიაც ვერა, მგონი ქათამივით გაჰყვლებდა;

გუთანი რომ **ბურბუმელასავით** ჰყრიდა ბელტებს, “მარიამას” ეამებოდა ხოლმე მიწის სუნი;

თვალეებს ცეცხლის **ალივით** ატრიალებდა;

ახლა უნდა ნახოთ ტანი როგორი **ბროწეულივით** გაუწითლდება;

ჩვენ კი პატარა **ბავშვივით** საითაც უნდათ, იქით გვიკვრენ თავსა;

ვინ იცის, რა მოელოდა, რამდენ ხანს მოუწებოდა ამ **თონესავით** გახურებულ ქალაქში ყოფნა;

„მარიამა“ ამ სუნისგან **ცოფიანივით** ხდებოდა;

იქით გზა იყო, ზედ ხალხი **ჭიანჭველებივით** ირეოდა;

წყლის **ნაკადულივით** გაუწყვეტლად მიჰქანაობდა დრო-ჟამი;

ძალიან მიყვარს, როცა ცხვრის ფარები რთვილივით დაედება მთების კალთებსა;

სიხარულით თვალეები **გოდრებივით** დაუხდებოდა;

იჯდა ერთ **მთასავით** ხარზე და თავის რკინის ნისკარტით გლეჯდა და ყლაპავდა ლეშსა.

ამისთანა/იმისთანა/მაგისთანა:

ენანებოდა პატრონს, არ უნდოდა იმისი ჯიშის გაწყვეტა, მერე **იმისთანა** იყო ის ძირკურთხეული, რომ მთელს იმ არემარეში იმაზე კარგი აღარა იყო რა;

ბარემ მოსაჭრელი ხილი არ არის, **ამისთანა** ჯიშის მსხალი არსად მეგულება;

ვინც კი გემოთ ნახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები, ალბათ, ბარაქა და იღბალი თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადააგვარა **ამისთანა** ბედაური მსხალი;

რამდენი ზამთარი გვინახავს და **ამისთანა** უღმერთო ყინვიან ზამთარს არ შევსწრებივართ;

არ მომწონს **ამისთანა** ლაპარაკი, მარა როგორ დავაშლევინოთ, არ ვიცი, რა ვუწამლოთ;

იცოდნენ რომ **იმისთანა** ვაჟზე ხევსურის ქალებიც კი ლექსს გამოსთქვამდნენ;

შიშია **იმისთანა** ბიჭი არ იყო, რომ უკან დაეწია;

არ მინახია **მაგისთანა** მხრიანი საქონელი, ჩემმა მზემა, - იმახდნენ მეხრეები;

რას შესჭამს, ჯერ ზაფხულში რას მოსძოვდა თავის უკბილო ღრძილებით, **როცა იმისთანა ბალახი** იყო, რომ ახლა მოძოვოს;

საშოვარი **ამისთანა დღეში იშოვება;**

შენისთანა თავდასიებულს ის კვერცხს არ ჩაუდებს, ლამის შენ შენი კვერცხებიც დაჭამო, თორემ სხვისას რას გაუშვებ;

ნეტაი შენა, მუხავ, რო **მაგისთანა** ეჭვიანი ხარ, ნიადაგ ბევრი ნაყოფი შეგრჩება;

რამდენი **იმისთანა** შემოხიზნული თბებოდა და ძლებოდა მსხლის ოფლითა.

ტოლა:

ამას აქ ამოდენა სიმძიმე აწვა კისერზე, ეს **ამოტოლა** მთასავით დადებული ურემი ამის მარღვებმა უნდა ზიდონ, და ის კი, ის ქალი მარიამა მარტო საცინელს ან მხეცურ რასმეს ხედავს;

აგერ, აგერ, **ქუდისტოლად** ძლივსლა მოჩანს;

მსხალს ერთი **ფრჩხილის ტოლა** ნაზარდიც აღარ უჩანდა;

ერთი ნაფეხური ყველაზე დიდი იყო, სწორედ **მოზერის ტოლა ფეხი** იქნებოდა; შიშიამ შეჭამა **ხელისტოლა პური**, თოფს ფალია უნახა, დანარჩენი საგმალი ისევ შოლტაში (მელოტი გუდა) ჩააწყო და მგელივით ჯიხვების კვალს გაჰყვა;

ბოლოს შეებლოტა ხარ-ჯიხვიც და გაბრტყელებული ეყუდა შიშის პირდაპირ **მოზერის ტოლა**;

კინჭუხის თავზე შემხტარი პატარა ვაცუნა, **ცერისტოლა რქიანი**, დაცინვით ჩასცქეროდა თავის ძირსდარჩენილ ამხანაგებს, რომელთაც სწრაფად ვერ მოესწროთ ამხანაგთან ერთად მაღლა შეხტომა და თვითონაც ისევ ძირს აპირებდა გადაშვებას.

ხნის:

ჯერ **შუახნისაც** არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა (*დადასტურდა ერთი შემთხვევა*).

ქცეული:

შეშინებულ-შემკრთალი თოვლი დედამიწაში ძვრებოდა წყლის **ცვრად ქცეული** (*დადასტურდა ერთი შემთხვევა*).

მსგავსებითი ელემენტები დასამსგავსებელს განსაზღვრულ ბრუნვაში მართავენ, გარდა **-ვით** თანდებულისა, რომელიც სახელობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმებს მოითხოვს. დანარჩენი ელემენტები ნათესაობით ბრუნვას დაერთვის.

-ვით თანდებულიან ფორმებში მსგავსება ცალკე სიტყვით არ არის წარმოდგენილი. ხოლო მსგავსების ელემენტებად წარმოდგენილი **-ტოლა** ფორმა ორგვარად რეალიზდება, ცალკე სიტყვადაც და მომენტში არც გვევლინება ცალკე სიტყვად.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენაში მსგავსებითი შედარების გადმოსაცემად გამოყენებულია მაკავშირებელი სიტყვები: „**როგორც**“, „**თითქოს**“:

ითმენდა სვავიც, **როგორც** ის კლდეები ითმენდნენ შავ მთაში დგომას, სადაც სვავი ბუდობდა და ძირს არ იმზღვლეოდნენ;

მიდიოდა შიშია **როგორც** ფრთხილი ვეფხვი, **როგორც** კატა ფრინველს ეპარება ხოლმე;

მწეალთან ზოგიერთ შემთხვევაში **როგორც** გართულებულია ისე ნაცვალსხელით: ისე მიდის გუთანში, **როგორც** ცხენი;

ისე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულია **როგორც** მსხალზე.

თითქოს:

როგორ მოიტაცა გუთანი, კაცო, **თითქო** ფარატინი იყოსო;

თოვლში ჩაფლულიყო, თოვლი შემოეჭამა ირგვლივ, **თითქოს** ცეცხლს მჩვარი ამოუწვავსო;

თოფს რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორი ხელით ბლუჯავდა, **თითქოს** ეშინიან, ხელიდან არ გამივარდესო;

ჯიხვი **თითქოს** უსაყვედურებს: რას მერჩი, რას გიჭამ, რას გტაცებ? რისთვის მდევნი? შენც გეყოფა მზის შუქი და მეც;

აჭიანურებდა გუგული, **თითქო** ვისიმე გაჯავრება უნდაო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში უდავოდ ვხვდებით ენობრივი საშუალების შემოქმედებით, გამომსახველოით გამოყენებას. მსგავსებითი შედარების დროს დიდი რაოდენობითაა გამოყენებული თანდებული **-ვით** და კავშირი „**როგორც**“ და შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაოდენობის თავლსაზრისით პირველ ადგილს

იკავებს -ვით თანდებულისანი შედარება.

მსგავსებითი შედარება მწერლის ენაში ხშირად გადმოცემულია, გამლილი სახით, მაგალითად:

ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა, სწოვდა **როგორც** ობობა ბუხსა, სწუწნიდა, **როგორც** ბალდი შაქარსა, ძღებოდა, **როგორც** სვავი სისხლითა;

მზეც **თითქოს** ჯიბრს უწევსო, უფრო და უფრო აცხუნებდა, რამდენიც მაღლა ადიოდა, აჭერდა კისერში, **თითქო** ცეცხლის შუბებითა სჩხვლეტენო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენაში ინტერესს იწვევს უკავშირო კონსტრუქციების შედეგად მიღებული მსგავსებითი შედარება, სადაც კონტექსტზე დაკვირვება განაპირობებს მსგავსებითი შედარების არსის გაგებას. აქ ნათლად იკვეთება, რომ ერთი საგანი ახსნილია მეორე საგნის მეშვეობით, შედარებულია მეორე საგანთან, რაც მეტად ემოციურსა და ექსპრესიულს ხდის მას. მაგალითად:

თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა, სხვებიც იყვნენ ჩემ ქერქქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდნენ თავის გზაზე, მგონი შენც ისე უნდა ჰქნა. სტუმრის წესი აასრულო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში საინტერესო აღმოჩნდა მსგავსებითი შედარების ადგილი. იგი გვხვდება როგორც **თავკიდურ**, ისე **შუა** და **ბოლოკიდურ** პოზიციაში:

შედარება თავკიდურ პოზიციაში:

ზღარბივით ეყუნტა კლდის ნახეთქებში.

შედარება შუა პოზიციაში:

ცხვრის ფარა **ზვავივით** მიჰქანაობდა.

გუთნეული დაინახა, თვალეზს **გიჟივით** ცეცება დაუწყო.

შედარება ბოლოკიდურ პოზიციაში:

რა ხანია შევცქერივარ, აღარაფერს ისხამს, მომატების მაგივრად ამან სულ უკლო და ახლა თითო-ოროლასლა იბამს და იმასაც **პანტასავით**;

ორი დღის მშვიერი სვავი წვიმისაგან შეწუხებული და შიმშილით დაყმენილი ხმელ ძვლებს ხრავდა და ჰგლეჯდა **ძაღლივითა**.

მსგავსებითი შედარება ექსპრესიულად ძალზედ საინტერესოა, მკითხველი ნათლად, მკაფიოდ, ცოცხლად შეგრძნობს მწერლის მიერ დახატულს სცენას.

ვფიქრობთ, რომ მსგავსებითი შედარება განსაზღვრავს თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის სტილს, რომელიც აძლიერებს სათქმელის შინაარსსა და ტვირთვას მას ემოციურად.

ამრიგად, თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის დამახასიათებელი ერთ-ერთი სტილური ნიშანია მსგავსებითი შედარება, რაც მხატვრულ ტექსტს ხდის განუმეორებელს, ინდივიდუალურს, აზროვნებას კი - ემოციურს.

ნათლად იკვეთება, რომ მსგავსებითი შედარების მეშვეობით თედო რაზიკაშვილი ოსტატურად იყენებს ენის მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რითაც ქმნის ინდივიდუალურ, მკვეთრად გამორჩეულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უნიკალურ სტილს.

ლიტერატურა:

1. თენგიზ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ, 1999.
2. თენგიზ სანიკიძე, ინგა სანიკიძე, ქართული ენის სტილისტიკა, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2009.
3. კვაჭანტირაძე თ, 1987 - მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ.
4. მარინა კუხალაშვილი, თამარ ლომთაძე, მანანა მიქაძე, იზოლდა რუსაძე, მარინა ქაცარავა, ნინო ფხაკაძე, პრაქტიკული სტიკისტიკა, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2007
5. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, 1974
6. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004.

საანალიზო წყარო:

1. თედო რაზიკაშვილი, მოთხრობები, „სულაკაურის გამომცემლობა“, თბ. 2015 წ. (ელექტრო ვერსია).

Figurative Comparison in Tedo Razikashvili's Works

Philashvili Elene

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The article discusses the figurative comparison in Tedo Razikashvili's prose language, as one of the defining factors of style and one of the best means of revealing the outside world, which, naturally, determines the aesthetic and emotional function of the text.

Tedo Razikashvili's stories are characterized by the diversity figurative comparisons. comparisons., in his works, the author mostly compares animate and inanimate things, humans and animals.

In Tedo Razikashvili's stories, comparative constructions are made with the following grammatical connections: *as if, as though* and *with separate adverbs and words: -ვით {-vit} as; -ებრ {-ebr} like/as, -თანა {-tana} like/as, -ტოლა {-tola} like, ktseuli {-ქცეული}* and others. Sometimes in comparative constructions there are not used any connectives and that gives those constructions an emotional coloring.

Figurative comparison in terms of expression is very interesting; the reader feels the writer's message vividly, clearly imagines the picture or scene that the writer tries to describe.

We believe that figurative comparison is one of the defining factors in Tedo Razikashvili's prose language and writing style. It gives his language more emotion, and more expressiveness.

Thus, it should be mentioned that the comparison is considered as one of the stylistic

features in Tedo Razikashvili's prose language, that makes our thinking emotional, and makes his fictions unique with its individual style.

It is obvious that through comparative constructions, Tedo Razikashvili uses various possibilities of language, and consequently makes his own style distinctive and unique.

Key words: Style, comparison, similarity, contrastive, qualitative.